სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/39

ქ. თბილისი 26 ივლისი 2024

სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2024 წლის 17 ივლისის №0000872221 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 26 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილება, კერძოდ: „არქიტექტურული ბიუროს" მთავარი არქიტექტორის ერთი საშტატო ერთეულის სახელფასო ანაზღაურება განისაზღვროს 1700 ლარის ოდენობით;
2. ცვლილება აისახოს უნივერსიტეტის 2024 წლის საშტატო განრიგში და ამოქმედდეს 2024 წლის 1 სექტემბრიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**